





მთელი ძალები მოვახმართ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას

# უკეთესად გამოვიყენოთ ზეჟნიკა!

მოხსენებაში შევიქვე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესახებ ახსნაგმა ნ. ა. ზულგანიძე ჩამოაყალიბა პერსპექტივები, სახალხო მეურნეობის ახალი აღმშენებლობის, მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის ფართოდ გამოყენების ზაზაზე. ამასთან დაკავშირებით ახალი დიდი და წვლილი უნდა შეიტანონ შევიქვე ხუთწლიანი პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო - სახალხო ბრძოლის საქმეში.

ახორციელებენ ჩა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რკინიგზები დაუღალავად აუმჯობესებენ მუშაობას ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად. ტექნიკის მიღწევითა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილების დახმარებით, გაზრდილად ამაღლენ ტექნიკის გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. ამის შესახებ მოთხოვნილია ქვემოთ მოთვლებულ წერილებში ხაზურის კვანძის საწარმოებში.

## ვიბრძვით შეუფერხებელი კავშირისათვის



უფროსი

ელექტრომექანიკოსის

3. სახვადის ნაამბობი



მეკავშირეთა მოვალეობა ყოველგვარ პირობებში, ყოველნაირ ამინდში მუდმივად უზრუნველყონ ზუსტი, შეუფერხებელი კავშირი. ამის საწინდარს წარმოადგენს სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა სანიმუშო მდგომარეობა.

ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში მე და ჩემი ხელქვეითები მტკიცედ ვიცავთ წესს — განუხრებლად ვასრულებთ კავშირგაბმულობის მოწყობილობათა შენახვისა და შეკეთების დაწესებულ ტექნოლოგიურ პროცესს.

ჩვენი უბანი დიდი და ამასთან რთულია. იგი გადაჭიმულია 60 კილომეტრზე, ხაზურიდან შორაპნამდე. ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობენ ორი სახაზო საოსტატოს მეკავშირეები.

საოსტატოთა მეთაურები ელექტრომექანიკოსები გ. ჯანკოტაძე და ლ. ელისაშვილი ჩემი ერთგული და ინიციატივიანი თანამშრომლები არიან. მათთან ერთად შევიმუშავებთ ხოლმე ხაზზე პროფილაქტიკურ ღონისძიებათა და სარემონტო სამუშაოთა ჩატარების დეტალურ გეგმა-გრაფიკს. ეს გრაფიკი მოიცავს სამუშაოთა მთელ კომპლექსს — გასინჯვა-შემოწმებას, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის მოწყობილობათა გასუფთავებასა და წესრიგში მოყვანას როგორც სადგურებში, ისე გადასარბენებზე. გან-

საკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარებას.

ათ დღეში ერთხელ ჩვენ ელექტრომექანიკოსთან ან ელექტრომონტორთან ერთად ვახდენთ ხაზის ფეხით შემოვლას გადასარბენებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სადგენების რეგულირების სისწორესა და მათს საიმედოდ დამაგრებას, შეკვრის წესიერებას იმ ადგილებში, სადაც შეინიშნება სადგენების ვიბრაცია, იზოლიატორების შემწეულ უწყისიგრობას შეძლებისამებრ მაშინვე აღმოვფხვრით.

იმისათვის, რომ არ დაფუშვთ ხაზის დაზიანება, განსაკუთრებით ძლიერი ქარის, თოვლის დროს, მე წინადადება წამოვყავნე შემცირდეს მანძილი სატელეგრაფო ბოძებს შორის. ვიყენებთ რა შინაგან რესურსებს, ჩვენ დავდგით დამატებითი საყრდენები. ამან შეამცირა სადგენების ჩამოკიდება და გაწვირა თოვლის სიმძიმისაგან, აგრეთვე მათი დახვევა ქარის დროს.

ჩვენი დისტანციის მეკავშირე-

ბი თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებენ მოწინავეთა გამოცდილებას, ნოვატორთა მიღწევებს. სახელდობრ, ჩვენთან ფართოდ გამოყენება მიიღო სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მელიტოპონიკოსის მ. სკვორცოვის რაციონალიზატორულმა წინადადება — თერმოქვაბმა ხაზის სადგენების დასაკავშირებლად.

ცნობილია, რომ სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობით სარგებლობს ყველა რკინიგზელი. იმაზე, თუ როგორ იყენებენ მას ისინი, დამოკიდებულია აპარატურის წესიერება და მისი მუშაობის ხანგრძლივობა. ჩვენ ხაზის მუშაობთან, განსაკუთრებით მოძრაობის მუშაობთან და მელიანდაგებთან დამყარებული გვაქვს მკიდრო თანამეგობრობა. ისინი დაუყოვნებლივ გვატყობინებენ უმნიშვნელო არანორმალურობის შესახებაც კი, ხშირად გვეხმარებიან დაზიანების აღმოფხვრაში.

ჩვენ რკინიგზელებს შორის ვატარებთ ახსნა-განმარტებითს მუშაობას, მეცადინეობაზე და საუბრებში ვაცნობთ მათ კავშირგაბმულობის დაზიანების ხასიათს, მოვუთხრობთ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სწორად კავშირი, როგორ მოუთარონ სიგნალიზაციის მოწყობილობას.

## გზაუნვალოვით მოვაკრთოთ მოწყობილობას

ტექნიკური პროგრესის, ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენების, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხები პირველხარისხოვანი საკითხებია გემიურ დაკავშირებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

ამ მხრივ სანიმუშოა ხაზურის სავაგონო დეპოს მაგალითი. იყო დრო, როცა ვაგონების გემიური შეკეთება კუსტარული საშუალებებითა და მეტად ძნელ პირობებში წარმოებდა. დეპოს არ გააჩნდა მტკიცე მატერიალური და ტექნიკური ბაზა, ალტურვილი არ იყო საჭირო მოწყობილობით.

უკანასკნელ წლებში მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ჩვენთან ფართოდაა გამოყენებული ჰიდრო-პნევმატური დონეები, რომლებიც ადვილდებენ და აჩქარებენ ვაგონის აწევას შეკეთების დროს. გაგვიჩნია მთელი რიგი სხვა ტექნიკური სი-აპარატების მოსახსნელი ხელსაწყო და სხვა.

დეპოსში მოწყობილია ორი ახალი საამქრო: საკისარების ჩასასხმელი და ავტოგადასახმელების სარემონტო. ამ საამქროთა უჭირბოლოა წინათააგირბებდა მოძრაობა შემაღეინლობის შეკეთებას.

ამას წინათ დეპომ მიიღო ახალი ელექტროპნევმატური ურო, რის მეშვეობით მნიშვნელოვნად შემსუბუქდა მკვიდელოთა შრომა, გაუმჯობესდა სამკვიდელო ნაკეთობათა ხარისხი.

აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს ჩამოვთვალთ ყველა ის მოწყობილობა, რაც ჩვენს დეპოს გააჩნია. მთავარია ის, თუ როგორ ვინახავთ და როგორ ვიყენებთ არსებულ ტექნიკას.

ჩვენს დეპოსში მუშათა უმრავლესობა მონდომებით, გზრუნველობით უყლის მასზე გაპროვნიბულ მოწყობილობას. კარგად ინახავენ თავიანთ ჩარხებს ხარაინახავენ თავიანთ ჩარხიან, ტიბი ლ. რაზმაძე, პ. ტონიანი, მოწონელიძე, შ. შათირიშვილი და სხვები. მოწინავე მევაგონე მშ. შათირიშვილმა, რომენიცი ავტოსამუხრუშო სამაქროში მუშაობს, ისე ზედმიწევნით შეისწავლა ჩარხი, რომ თვითონ აწარმოებს მის მიმდინარე შეკეთებებს. სამუშაოებს, სხვა მეჩარხეები არ იჩენენ ასეთ ინიციატივას.

ჩვენ გვიყავს ისეთი მუშაკებიც, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან ახალ ტექნიკას. მაგალითად, ამბ. ა. ჩაჩანიძე გაპროვნიბულა სახერხეტი ჩარხი, მაგრამ მასზე ხშირად მუშაობენ ადამიან-

ბი, რომელთაც ამის უფლება არ აქვთ. ჩარხის ცუდად გამოყენება იწვევს მის ხშირად შეკეთებას. მაგრამ არც ამხ. ჩაჩანიძეს არც სამქროს ოსტატს ა. ზაზიაშვილს ეს მდგომარეობა არ ალღევს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენს დეპოსში ყველა მექანიკოსი და სამარჯვი როლია გამოყენებული. არის მექანიკოსების, სამარჯვებისა და მოწყობილობის უყვართოდ შენახვისა და გამოყენების სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, ვაგონების ასაწვივი ჯოჯინებისა და გადასატანი კიბეების მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობას არა-გინ არ გრძნობს. გასაკვირი არაა, რომ ეს სამარჯვები მალე გამოდიან მწყობრიდან.

ვაგონების შეკეთების დაჩქარებისათვის საჭიროა ნაკლები სიმძლავრის საბორბლე - სახარატო და სახარატო - ხრახნსაჭრელი ჩარხების შეცვლა უფრო სრულყოფილით, აუცილებელია აგრეთვე სამკვიდელო ქურის გამოცვლა. ამ საქმეში ჩვენ კონკრეტული დახმარება უნდა გავვიწიონ სავაგონო სამსახურის მუშაკებმა.

**ბ. წილოსანი**  
ხაზურის სავაგონო დეპოს ტექნიკური ბიუროს უფროსი ინჟინერი



სოხუმის სალოკომოტივო დეპოსში ფართოდ განუთარდა მძიმეწონისან მემანქანეთა მოძრაობა. სურათზე: მეტეტორითან შემადგენლობათა ტარების ერთ-ერთი ოსტატი, უფროსი მემანქანე გ. დანელია რეისში მიდის.

## წერილები რედაქციას

### ამათხოვნილობა შეასუსტეს

გზათა საინისტროს 1955 წლის 3 იანვრის ბრძანების განხორციელებისათვის ბრძოლაში თბემის ასაქცივის (უფროსი ამბ. ა. სარანი) მოძრაობის მუშაკებმა ბევრი ინიციატივა გამოიჩინეს და სეროზულ წარმატებას მიაღწიეს მატარებელთა მოძრაობის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. მათ სანიმუშო მდგომარეობაში მოიყვანეს საისრო მეურნეობა, მოწყობილობა, ინსტრუმენტი. მაგრამ უკანასკნელ დროს ამ ასაქციეში შეასუსტეს მომთხოვნელობა, ადგილი აქვს ტექნიკური ექსპლუატაციის წესების უხეშ დარღვევებს, გახშირდა სადგურის მორიგებისა და მისი რეგულირების მუშაობის რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. ამას წინათ, მაგალითად, მისი რეგულირების სეროზული მონოგრაფი და სხვები მთელი დეპოსის განმავლობაში განუწყვეტელი იმყოფებოდნენ საგუშაგოზე, სადგურის მორიგე ამხ. გავრილიდი 16 საათს მუშაობდა.

გზის ოსტატმა ამხ. ლონლაძემ შეასუსტა ყურადღება სადგურის ლიანდაგებისა და ისრების გადამყვანთა მიმდინარე მოვლა-შენახვისადმი. ამ მიზეზით № № 1 და 4 ისრებზე აღმოჩნდა კალმების გაფართოება 4-დან 6 მილიმეტრამდე. № 6 ისარზე ჩარხო-რელსის პირაპირში ორი ძელი ერთიმეორის მიყოლებით დამპალი იყო.

თბემის ასაქცივის ხელმძღვანელობამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და განუხრებლად შეასრულოს გზათა საინისტროს 1955 წლის 3 იანვრის ბრძანება.

**6. კავქანიძე**  
სოხუმის განყოფილების მატარებელთა მოძრაობის უშიშროების რევიზორი

## ჩვენი სიგნალის შემდეგ

### „მალაროს სადგურში“

ასეთი სათაურით ჩვენი გაზეთის მე-2 ნომერში მოთავსებული იყო დ. ევანის წერილი მალაროს სადგურში მგზავრთა ცუდი მომსახურების შესახებ. თბილისის განყოფილების სამგზავრო განყოფილების უფროსმა ამხ. ჩადუნელმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. შენობა-ნაგებობათა თბილისის დისტანციის უფროსს ამხ. ლევანს წინადადება მიეცა ჩაატაროს სამგზავრო შენობის მიმდინარე შეკეთება, ხოლო სადგურის უფროსს ამხ. დედარიანს — სასტამატურად ჩაატაროს ვაგონის ტერიტორიის დასუფთავება. სადგურში მოეწეობა ელექტროვანათობა.